

პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრენინგი

„აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით“

4-9 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორმა დარეჯან ცუცქერიძემ (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ჩაატარა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრენინგ-კურსი „აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით“. დარეჯან ცუცქერიძემ შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტში (ბელგია).

ტრენინგი მიზნად ისახავდა სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის პოპულარიზაციასა და განვითარებას და ამგვარად, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზებას. ხუთდღიანი ტრენინგი ინოვაციურ სწავლებაში ითვალისწინებდა 10 საათს: 5 დღის განმავლობაში დღეში 2-2 სთ და 20 სთ ინდივიდუალური სამუშაო (1 ECTS კრედიტი).

ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს 5 ფაკულტეტის (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი) 8 დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა.



ტრენინგის დასაწყისი


ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეები გაეცნენ აქტიურ სწავლებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, კერძოდ, აქტიური სწავლების არსს, მის გადამწყვეტ როლს თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესში, მის მნიშვნელობას სტუდენტის მაქსიმალური ჩართულობის თვალსაზრისით, აქტიური სწავლების მეთოდებს, ტექნიკებს და მათი განხორციელება/დანერგვის პრაქტიკულ გზებს.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა სასწავლო ტექნიკაზე დიდი და მცირე საკლასო ოთახებისათვის, მაგალითად, როგორცაა Think-Pair-Share, Jigsaw, Structured Debates და ა.შ. მათი გამოყენების დადებით მხარეებსა და მათი გამოყენების შედეგად სტუდენტისათვის დამდგარ შედეგზე. აქტიური სწავლების თეორიული საკითხების გააზრების თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა ე.წ. „Concept Map“-ზე.




„აქტიური სწავლება“

მასწავლებელთა ტრეინინგის მსვლელობის დროს აქცენტი გაკეთდა სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე, აუცილებლობასა და საჭიროებაზე. პროფესორ-მასწავლებლები გაეცნენ ონლაინსაინფორმაციო არხების გამოყენების აუცილებლობასა და მის სახეებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა „TPACK“-ის მოდელზე. მისი შემადგენელი კომპონენტების (ტექნოლოგია, შინაარსი, პედაგოგიკა) ურთიერთმიმართებებსა და გავლენებზე.




TPACK ახსნა

ტრენინგზე დაწვრილებით იქნა განხილული “ADDIE” მოდელი, მისი ფაზები (ანალიზი, დიზაინი, განვითარება, განხორციელება, შეფასება) და სხვადასხვა ფაზის დროს გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი კომპონენტები, მაგალითად, მიზნები, გარემო, აუდიტორია, სტუდენტის მახასიათებლები და ა.შ.



ADDIE მოდელის ახსნა


ტრენინგ კურსის მონაწილეებმა შეისწავლეს რეაგირების სისტემა „Mentimeter“, ასევე, “Google Forms” და ადგილზე შეასრულეს პრაქტიკული დავალება. ტრენინგის დროს პროფესორ-მასწავლებლები დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად. მათ შეასრულეს მთელი რიგი აქტივობები, ჯგუფური პრაქტიკული დავალებები მაგ: “TPACK Game”.



„Google Forms“



ჯგუფური მუშაობის პროცესი



TPACK Game, პრეზენტაცია

პროფესორ-მასწავლებლებმა წარმოადგინეს საბოლოო პრეზენტაციები, სასწავლო კურსი რომელიც გამდიდრებული იყო ტრენინგზე მიღებული ახალი ცოდნითა და მეთოდებით. ტრენინგის ბოლოს მათ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და შეაფასეს სასწავლო კურსი.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სატანადო სერტიფიკატები.



სერტიფიკატების დაგაცემა